**ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ო ქ მ ი # 4**

ქ. ონი 27. 04. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ალავერდ ხვედელიანი.

**საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 წევრი:** ალავერდ ხვედელიანი, გივი მეტრეველი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ბერელიძე, ლევან ორდინიძე, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი, ბიჭიკო კერვალიშვილი, რევაზ საბანაძე, მადლენა მეტრეველი, მერაბ ბიჭაშვილი, როსტომ ლობჯანიძე, ნინო გობეჯიშვილი, ბესიკი მაისურაძე, თორნიკე მეტრეველი, გიორგი მეშვილდიშვილი, მამუკა ყავლაშვილი, თამაზ მეტრეველი, შალვა კახეთელიძე, ნინო ბერუჩაშვილი, ეკა მაისურაძე, ანა ბაქრაძე, თამილა არჩვაძე, გელა მეტრეველი.

**არ ესწრებოდნენ:** ბაჩანა მარკოიშვილი, შუქურა ჯაფარიძე, ბიძინა ყიფიანი, ფრიდონ გოგრიჭიანი, თეიმურაზ ცეცაძე, ნოდარ ბურდილაძე, ნონა მაისურაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი მაგდა მაისურაძე, ეკონომიკის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი, ეკონომიკის სამსახურის სპეციალისტი ნანა ლობჯანიძე.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. მ. მაისურაძე-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი /

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ქსელის  მოვლა-შენახვის ცენტრისთვის“ ასანიზაციის მანქანის სარგებლობაში  (უსასყიდლოდ) , თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ.

/მომხს. თ. გრძელიშვილი-მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი/

**3.** ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. თ. გრძელიშვილი-მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი/

4. ონის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ნ. ლობჯანიძე-ეკონომიკის სამსახურის სპეციალისტი/

**5.** ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის  მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის  დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის  #15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ა. ხვედელიანი-საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი/

6. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის #51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ა. ხვედელიანი-საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი/

7. ონის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია  ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის და არსებული პრობლემების შესახებ.

/მომხს. ს. გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

8.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხს: ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

**მოისმინეს:** 1. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს.მ. მაისურაძე-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი /

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მოისმინეს:** 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრისთვის“ ასანიზაციის მანქანის სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ.

/მომხს. თ. გრძელიშვილი-მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი/

თ. გრძელიშვილმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრისთვის“ ასანიზაციის მანქანის სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ და აღნიშნა, რომ საჭიროა მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ

ორგანოს ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი ერთეული ავტომობილის, ასანიზაციის მანქანის ,,ონის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრისთვის“ სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ.

ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხით მოგვარდება პრობლემა, რომელიც წლების მანძილზე აწუხებდა მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას, რაც მისასალმებელია.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი .

**მოისმინეს: 3.** ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. თ. გრძელიშვილი-მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი/ /

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანილია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები სოფლებში: შქმერში, შარდომეთსა და ჭალაში მობილური კავშირგაბმულობის ქსელის გაფართოების მიზნით და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტექნიკა-კომაცუ D65EX15EO.

თ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ ქონება, რომელიც საკმაოდ ძვირი დაუჯდა მუნიციპალიტეტს, დღეს გაცილებით იაფად იყიდება, რაც ჩვენს უუნარობაზე მეტყველებს.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მოისმინეს: 4.** ონის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ნ. ლობჯანიძე-ეკონომიკის სამსახურის სპეციალისტი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მოისმინეს: 5.** ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ა. ხვედელიანი-საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი/

ა. ხვედელიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მოისმინეს:** 6. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის #51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ა. ხვედელიანი-საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი/

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის #51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით საკრებულოს თავმჯდომარეს განესაზღვრება 600 ლ. ბენზინი, საკრებულოს ავტომანქანა ნისან-პატრულისთვის-250 ლ. დიზელი.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მოისმინეს: 7.** ონის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის და არსებული პრობლემების შესახებ.

/მომხს. ს. გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის და არსებული პრობლემების შესახებ.

**ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.**

**მოისმინეს: 8.** ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხს. ს. ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

**ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე.

თ. მეტრეველმა ისაუბრა ქალაქში მაწანწალა ძაღლების პრობლემაზე.

ლ. შერაზადიშვილმა აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში მოხდება ქალაქიდან მაწანწალა ძაღლების გაყვანა.

ვლ. ბერელიძემ განაცხადა, რომ სოფლებში ხდება ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ტერიტორიების ქაოტური მითვისება და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებისთვის აღარ რჩება სივრცე.

ალ. კერვალიშვილმა ისაუბრა არტუანის უბანში დაზიანებული მილსადენის აღდგენის აუცილებლობაზე.

**ალავერდ ხვედელიანი**

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი